



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1115
08/06/2018

ქალაქი ბათუმი

1115-05-4-201806081812



ქეთევან უსტიაშვილის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საბიუჯეტო განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“- საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 45-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილების, მერაბ თურმანიძის 2018 წლის 23 მაისის №1470-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი 2018 წლის 21 მაისის „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №5“ - საოქმო გადაწყვეტილებისა და ქეთევან უსტიაშვილის 2018 წლის 05 ივნისის №8028/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. 2018 წლის 08 ივნისიდან დაინიშნოს ქეთევან უსტიაშვილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საბიუჯეტო განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, 12 თვით გამოსაცდელი ვადით.

2. შეწყვეტილი იქნეს ქეთევან უსტიაშვილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილებაში შტატგარეშე მოსამსახურის პოზიციაზე.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქეთევან უსტიაშვილის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილებაში შტატგარეშე მოსამსახურის შრომითი ხელშეკრულებით აყვანის შესახებ“- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 04 აპრილის №334 ბრძანება.


4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, is written over a faint circular stamp or watermark.